*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

## აღმოსავლური და კლასიკური ენების დაუფლების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი (0231 ენის დაუფლება)

## სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26–27–28 დეკემბერი, 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 10 თებერვალი, 2023 წ.

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ........................................ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.................................................. 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ................................................ 15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .......................................................................................................... 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა........................................................................................................ 47

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .................................... 62

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .................................................................. 71

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ............................................... 89

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | 212693049 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დარეჯან გარდავაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მარინე გიორგაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეა შურღაია, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ელისაბედ მაჩიტიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ მოსიაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლიანა ჭყონია, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი | გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი | ანა ჭრელაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | არაბისტიკა (Arabic Studies) | არაბისტიკა (Arabic Studies) | თურქოლოგია (Turkology) | თურქოლოგია (Turkology) | ირანისტიკა (Persian Studies) | ირანისტიკა (Persian Studies) | კლასიკური ფილოლოგია (Classics) | კლასიკური ფილოლოგია (Classics) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არაბისტიკაში Bachelor of Arts in Arabic Studies | არაბისტიკის მაგისტრი Master of Arabic Studies | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თურქოლოგიაში Bachelor of Arts in Turkology | თურქოლოგიის მაგისტრი Master of Turkology | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ირანისტიკაში Bachelor of Arts in Persian Studies | ირანისტიკის მაგისტრი Master of Persian Studies | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კლასიკურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Classics | კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი Master of Classics |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება | 0231 ენის დაუფლება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 | 240 | 120 | 240 | 120 | 240 | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 23.09.2011 №51 | აკრედიტებული 19.04.2012 №93 | აკრედიტებული 23.09.2011 №51 | აკრედიტებული 19.04.2012 №93 | აკრედიტებული 23.09.2011 №51 | აკრედიტებული 19.04.2012 №93 | ახალი | აკრედიტებული 28.06.2016 №34 |

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

შესაფასებლად წარმოდგენილ კლასტერში დაჯგუფებულია სსიპ-აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის 8 საგანმანათლებლო პროგრამა, მათგან 4 არის საბაკალავრო, ხოლო 4 სამაგისტრო საფეხურის.

აღმოსავლეთმცოდნეობის დარგს წარმოადგენს 6 საგანმანათლებლო პროგრამა:

არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არაბისტიკაში Bachelor of Arts in Arabic Studies;

ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ირანისტიკაში Bachelor of Arts in Persian Studies;

თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თურქოლოგიაში Bachelor of Arts in Turkish Studies;

არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (120 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: არაბისტიკის მაგისტრი Master of Arabic Studies;

ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (120 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: ირანისტიკის მაგისტრი Master of Persian Studies;

თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (120 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: თურქოლოგიის მაგისტრი Master of Turkish Studies;

ექვსივე ეს პროგრამა ამ სახით - დამოუკიდებელ საგანმანათლებლო პროგრამებად - პირველადაა წარმოდგენილი, ისინი წარმოადგენენ 2011-2012 წწ. აკრედიტებული აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანი საბაკალავრო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №51; 23.09.2011) და აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანი სამაგისტრო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №93; 19.04.2012) პროგრამების მოდიფიცირებულ ვარიანტებს.

კლასიკური ფილოლოგიის დარგს წარმოადგენს 2 საგანმანათლებლო პროგრამა:

კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (240 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კლასიკურ ფილოლოგიაში Bachelor of Arts in Classics;

კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (120 ECTS კრედიტით და მისანიჭებელი კვალიფიკაციით: კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი Master of Classics;

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პირველადაა საკრედიტაციოდ წარმოდგენილი, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ კი 2016 წელს გაიარა პირველი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №34; 28.06.2016).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

კლასტერული აკრედიტაციისთვის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 26-27-28 დეკემბერს, სადაც ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო შესაფასებელი კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბიბლიოთეკო რესურსებს, შეხვდა უნივერსიტეტის ცენტრალურ და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურების ხელმძღვანელებსა და წევრებს, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალს – აკადემიურ სტაფსა და მოწვეულ ლექტორებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, შრომითი ბაზრის წარმომადგენელ დამსაქმებლებს, ინტერვიუებზე მიიღეს საჭირო ინფორმაცია, გაეცნენ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებს, შეაჯამეს და გააანალიზეს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაცია და მასპინძელ მხარეს გააცნეს საკუთარი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აწსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის აღმოსავლური და კლასიკური ენების კლასტერში დაჯგუფებული 8 საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს კვალიფიკაციათა კლასიფიკატორის დეტალურ სფეროს: *0231 ენის დაუფლება* და მათზე ვრცელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი: ბრძანება MES 0 22 0001038847 09.09.2022; საგანმანათლებლო პროგრამები ემსახურება აღმოსავლეთმცოდნეობისა და კლასიკური ფილოლოგიის დარგში თეორიული და პრაქტიკული ფუნდამენტური ცოდნის გადაცემას ფართო ცოდნიდან დარგის ღრმა და სისტემურ ცოდნამდე. კლასტერის ყველა პროგრამის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს მათივე მიზნებიდან და შეესაბამება როგორც სტანდარტსა და დარგის არსებულ მახასიათებელს, ასევე აწსუ მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. ორივე საფეხურის პროგრამები მიღების წინაპირობებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტებით, სწავლების მეთოდებით, შეფასების სისტემით, სწავლის სფეროების თავისებურებებისა და სწავლის საფეხურის მოთხოვნების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ დასახული მიზნების ადეკვატური შედეგების მიღწევას და აღნიშნული დარგების აკადემიური კვალიფიკაციების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც განათლების საფეხურის შესატყვის პოზიციებზე დასაქმდებიან.

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები იძლევიან განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების შეუფერხებელ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს აწსუ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ინფრასტრუქტურა,

აკადემიური, მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი. სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით ეფექტურად არის გამოყენებული შიდა და გარე ხარისხის შემოწმება-შეფასების მექანიზმები, პროგრამების სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვისა და შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 1, 3, 5** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამები**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**1.4** მიზანშეწონილია სოციოკულტურული და საზოგადოებათმცოდნეობითი ასპექტების ეტაპობრივი გაძლიერება არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამებში და კურიკულუმში ასახვა სასწავლო კურსების სახით, ამ პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან (არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგია) და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების სოლიდური მოცულობიდან გამომდინარე.

**1.4** რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში 10 კრედიტიანი საკურსო ნაშრომის ნაცვლად საბაკალავრო ნაშრომის შეტანა, რომელიც ერთგვარად აჯამებს პროგრამით მისანიჭებელ კომპეტენციებს და სტუდენტს გამოუმუშავებს ძირითადი სწავლის სფეროს გაცნობიერებულ ცოდნას, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხის უნარებს.

**პროგრამა 7** (**კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**1.4** რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში საბაკალავრო ნაშრომის შეტანა, რომელიც ერთგვარად აჯამებს პროგრამით მისანიჭებელ კომპეტენციებს და სტუდენტს გამოუმუშავებს ძირითადი სწავლის სფეროს გაცნობიერებულ ცოდნას, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხის უნარებს.

**1.4** რეკომენდებულია, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში ფილოლოგიის კომპეტენციების გამომუშავების თვალსაზრისით (იხ. ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი) ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, როგორიცაა „ენათმეცნიერების შესავალი“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“ პროგრამის ფილოლოგიური შინაარსიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე განისაზღვროს სავალდებულო საგნებად.

1.4 მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ სასწავლო კურსის - „რომაული ლიტერატურა: ძვ. წ. III-I სს.“ (1.9) წინაპირობად მითითებულია „ძველი ბერძნული ენა 2“(1.4) რაც არალოგიკურია.

**პროგრამა 2, 4, 6** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამები**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**1.4** არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმაში სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში მაგისტრანტის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშესაწყობად შეტანილი საკურსო ნაშრომი ზედმეტად და დაუსაბუთებლად გვეჩვენება იმ ფონზე, როცა პროგრამის სასწავლო კურსთა დიდი ნაწილი შეფასების ფორმებად დისკუსიის, ესესა და პრეზენტაციის შეფასებას ითვალისწინებს და სტუდენტს კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით აქვს შესასრულებელი. მიზანშეწონილია, კვლევითი კომპონენტი ცალკეულ სამაგისტრო დისციპლინებში ინტეგრირდეს და გაძლიერდეს.

**პროგრამა 8** (**კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**1.4** რეკომენდებულია, სხვადასხვა სემესტრში ისწავლებოდეს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, ერთსა და იმავე (მეორე) სემესტრში ჩასმული შემდეგი სასწავლო კურსები: ლათინური ენა (არჩევითი) და რომაელი ავტორი (ძირითადი).

**1.4** პროგრამაზე მიღების ღია წინაპირობიდან (ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლის სფეროს დაუკონკრეტებლად) და პროგრამაზე ჩარიცხვის დღემდე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პირველ და მეორე სემესტრში კრედიტები დაეთმოს კლასიკური ენების ინტენსიურ შესწავლას, ხოლო მესამე სემესტრში - ბერძენი და რომაელი ავტორები იქნეს შეტანილი.

**პროგრამა 1, 2, 3, 4, 5, 6 (თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**4.1** მიზანშეწონილია, თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში, მეტი ძალისხმევა მოხმარდეს ადგილობრივი კადრების აღზრდას, რომლებიც კურსების ავტორობას და წაძღოლას შეძლებენ.

### რჩევები პროგრამების განვითარებისთვის:

**პროგრამა 1, 3, 4** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამები**)

**1.4** სასურველია, სტუდენტს არცევითი კურსების სემესტრული განაცილების ოპტიმალური ჩამონათვალი მიეცეს.

**პროგრამა 7** (**კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა**)

**1.4** სასურველია, სტუდენტს არცევითი კურსების სემესტრული განაცილების ოპტიმალური ჩამონათვალი მიეცეს.

**1.4** პროგრამის სასწავლო გეგმაში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში შეტანილია „ანტიკური ქვეყნების ხალხთა ეთნოლოგია“ (1.18), ხოლო სასწავლო კურსი „ანტიკური ქვეყნების ისტორია“ (3.3) არჩევით კურსებშია მოცემული. პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, სასურველია „ანტიკური ქვეყნების ისტორია“ გადავიდეს სავალდებულო კურსში.

**1.4** სასწავლო გეგმაში ერთსა და იმავე სემესტრშია (მეექვსე სემესტრი) შეტანილი „ლათინური ენა 3“ და „რომაელი ავტორი 1“, ავტორის ტექსტის კითხვა და გაგება ენის ცოდნის ღრმა დონეს მოითხოვს, შესაბამისად, სასურველია, „რომაელი ავტორი 1“ მომდევნო სემესტრში იქნეს გადატანილი.

**პროგრამა 2, 4, 6** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამები**)

**1.4** აღმოსავლური ენებიდან ქართულად და ქართულიდან აღმოსავლურ ენებზე თარგმანის პრაქტიკული კურსებისთვის *თარგმანის პროექტის* სახელწოდების მიცემა გარკვეულწილად აბუნდოვანებს შინაარსს, უმჯობესია, შერჩეულ იქნას უფრო ადეკვატური სახელწოდება.

**პროგრამა 1, 2, 3, 4, 5, 6** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები**)

**1.5** სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები იყოს ნაკლებ სტანდარტული და უფრო მეტად მორგებული კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და საჭიროებებს.

**პროგრამა 1, 2, 3, 4, 5, 6** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები**)

**1.5** რიგი საბაკალავრო თუ სამაგისტრო კურსი (როგორიცაა, მაგ., შესავალი სუფიზმში, გენდერის საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთის კულტურა, აღმოსავლური ფოლკლორი, კლასიკური არაბული პროზა და ადაბი, არაბული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, XX საუკუნისა და თანამედროვე სპარსული რომანი, უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორია და სხვ.) სასწავლო ლიტერატურის შევსებას მოითხოვს უახლესი გამოცემებით, მათ შორის, ევროპული კვლევების მიღწევათა ასახვას (თუნდაც კურსის რიდერების სახით).

**პროგრამა 7. 8** (**კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები**)

**1.5** სასურველია, ყურადღება მიექცეს პროგრამების სილაბუსებში, განსაკუთრებით, საბაკალავროში, უხვად მითითებული უცხოური ლიტერატურის სტუდენტისთვის მარტივად ხელმისაწვდომობას (ნაწილი არ იძებნება ბიბლიოთეკაში, არც ელექტრონული წყაროებია მითითებული).
პროგრამის სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მუდლის პლატფორმა სწავლების ორივე საფეხურზე.

კლასტერის საერთო რჩევები:

1.3 სასურველია კრიტიკულად გადაიხედოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებზე თანდართული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები, რათა მათი მეშვეობით რეალურად და ეფექტურად მოხდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივი შემოწმება და შეფასება ხანგრძლივვადიან დროით პერსპექტივაში.

1.4 სასურველია, კლასტერის საბაკალავრო პროგრამებში არაბული/სპარსული/თურქული ენა 3,4,5,6,7,8 სასწავლო კურსებში საკონტაქტო კვირეული 5 სთ-ის მიცემა, თანაბრად კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ძვ. ბერძნული და ლათინურის ენების საკონტაქტო კვირეული საათებისა, ამ ცოცხალ ენებში შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამოსამუშავებლად.

2.1თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების ღია წინაპირობიდან გამომდინარე (ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე), სასურველია, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში გამოიკვეთოს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას.

2.2 სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აწსუ-ს წვდომაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ასევე, წაახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეციერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**2.4** კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, სასურველია, ამ კურსებში ცატარდეს კომბინირებული (წერა-ზეპირი) გამოცდა.

**2.4** მოქმედი რეგულაციით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40 ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას მაინც ვერ იღებს. ხომ არ აჯობებდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, რათა შეფასება რეალურად იყოს განმავითარებელი.

**2.4** სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს Turnitin ელექტრონულ პროგრამაში თავად სტუდენტი ტვირთავდეს და შემდეგ შედეგებს წარუდგენდეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეს აამაღლებს მის

პერსონალურ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, დადებითად იმოქმედებს ნაშრომის ხარისხზე. ასევე სასურველია, რომ Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომები კი არ გატარდეს, არამედ დაინერგოს მისი გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კონკრეტული ფორმების (ესე, რეფერატი) მომზადებისა და წარმოდგენისასაც.

**3.1** სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;

**3.1** სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნას გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის, ერასმუს + გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;

**3.1** სასურველია, სტუდენტური გამოკითხვის ფორმების გამრავალფეროვნებასა და მათში მეტი კონკრეტიკის შეტანას.

**3.2** სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, მაგისტრანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის თანამშრომლობის ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად, სასურველია, შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელთა შეფასების წესი და გამოკითხვის ფორმა.

**4.3** სასურველია, ინსტიტუციამ სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებით მეტი მოტივაცია გაუჩინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, იზრუნონ პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაციაზე, რაც დადებითად აისახება როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო რეიტინგზე, ისე სწავლების ხარისხზე.

**4.4** სასურველია, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის დისტანციურ რეჟიმშიც ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს.

**4.4** სასურველია, კლასტერის ფარგლებში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა თუ მოწვეულმა პერსონალმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, სასწავლო კურსების განხორციელებისა თუ სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმოს იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც სტუდენტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სტუდენტური ნაშრომების ხარისხს, ისე მათ ენობრივ კომპეტენციებს.

4.5 სასურველია, ინსტიტუციამ სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებით მეტი მოტივაცია გაუჩინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, იზრუნონ პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაციაზე, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხზეც.

**5.2** სასურველია, კოლეგიალური შეფასებები განხორციელდეს კონკრეტული პარტნიორი ინსტიტუციების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით და არა ინდივიდუალურად, რაც უზრუნველყოფს უფრო ობიექტური სურათის წარმოჩენას; ასევე სასურველია ეს მოხდეს პროგრამული პაკეტების განახლების ადრეულ ეტაპზე, რათა ცვლილებების საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დროული ინტერვენციების განხორციელება.

**5.3** სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გამოკითხვის ფორმა, რომლითაც მოხდება მაგისტრანტების მიერ მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება; შესაძლებელია ამ მონაცემების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[3]

1. აწსუ-ში განხორციელებულმა ვიზიტმა კარგად წარმოაჩინა აღმოსავლეთმცოდნეობისა და კლასიკური ფილოლოგიის დარგების მდგრადი განვითარების ტენდენციები ამ უნივერსიტეტში, სადაც ათწლეულების განმავლობაში მიზანმიმართული სამუშაოა განხორციელებული ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების მომზადების თვალსაზრისით.

2. კარგი პრაქტიკაა აკადემიური პერსონალის ჯგუფური სამეცნიერო პროექტები, რაც მიმდინარე სამეცნიერო პროექტებში მათმა ჩართულობამ წარმოაჩინა.

3. კარგად მუშაობს ტუტორთა ინსტიტუტი და აღსანიშნავია მაღალკურსელ სტუდენტთა ჩართულობა მასში.

▪ ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

კლასტერის განმახორციელებელი ინსტიტუცია ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

კლასტერში წარმოდგენილი აღმოსავლეთმცოდნეობის პროფილის 6 საგანმანათლებლო პროგრამის: არაბისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების წინამორბედი პროგრამები 2011-2012 წწ. აკრედიტაციის პროცესის დროს იყო აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანი საბაკალავრო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №51; 23.09.2011) და აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანი სამაგისტრო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №93; 19.04.2012) პროგრამები.
ამ დარგების აწსუ-ში განვითარების ათწლიან პროცესზე დაკვირვებით საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელახალი აკრედიტაციისას აღმოსავლეთმცოდნეობის თითოეული ეს დარგი – არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია წარედგინათ დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამებით როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო სწავლების საფეხურზე. ამასთან, ამ საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაცია აღარ შემოიფარგლა აღმოსავლური (არაბული/სპარსული/თურქული) ფილოლოგიით, არამედ სტუდენტთა და შრომითი ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ასევე წარმატებული ანალოგიური ქართული თუ საერთაშორისო პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდა შესასწავლი ლინგვოკულტუროლოგიური პროფილის გაფართოება, სწავლებაში შესაბამისი რეგიონის სოციოკულტურული ასპექტების დამატება და წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს კვალიფიკაციათა მოქმედი კლასიფიკატორიდან შეერჩა და განესაზღვრა შესაბამისი

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

კვალიფიკაციები: 0231.1.18 არაბისტიკა (Arabic Studies); 0231.1.17 ირანისტიკა (Persian Studies); 0231.1.16 თურქოლოგია (Turkology).

კლასიკური ფილოლოგიის დარგში ჯერ შეიქმნა სამაგისტრო საფეხურის პროგრამა და 2016 წელს გაიარა პირველი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №34; 28.06.2016), მისი წარმატებით ფუნქციონირების 6-წლიანმა პერიოდმა პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ხელახალი აკრედიტაციისას ეს დარგი – კლასიკური ფილოლოგია, წარედგინათ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებით.

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ  აწსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის აღმოსავლური და კლასიკური ენების კლასტერში დაჯგუფებული 8 საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს კვალიფიკაციათა კლასიფიკატორის დეტალურ სფეროს: *0231 ენის დაუფლება* (Language Acquisition) და მათზე ვრცელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი: ბრძანება MES 0 22 0001038847 09.09.2022;
ამ პროგრამების ფუნქციონირების ისტორია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტზე სხვადასხვანაირია. კლასტერში წარმოდგენილი აღმოსავლეთმცოდნეობის პროფილის 6 საგანმანათლებლო პროგრამის: არაბისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების წინამორბედი პროგრამები 2011-2012 წწ. აკრედიტაციის პროცესის დროს იყო აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანი საბაკალავრო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №51; 23.09.2011) და აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანი სამაგისტრო (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №93; 19.04.2012) პროგრამები.
აღნიშნული დარგების აწსუ-ში განვითარების ათწლიან პროცესზე დაკვირვებამ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ჯგუფი მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ხელახალი აკრედიტაციისას აღმოსავლეთმცოდნეობის თითოეული ეს დარგი – არაბისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია წარედგინათ დამოუკიდებელი

საგანმანათლებლო პროგრამებით როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო სწავლების საფეხურზე. ამასთან, ამ საგანმანათლებლო პროგრამების კვალიფიკაცია აღარ შემოიფარგლა აღმოსავლური (არაბული/სპარსული/თურქული) ფილოლოგიით, არამედ სტუდენტთა და შრომითი ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, ასევე წარმატებული ანალოგიური ქართული თუ საერთაშორისო პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდა შესასწავლი ლინგვოკულტუროლოგიური პროფილის გაფართოება, სწავლებაში შესაბამისი რეგიონის სოციოკულტურული ასპექტების დამატება და წარმოდგენილ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს კვალიფიკაციათა მოქმედი კლასიფიკატორიდან შეერჩა და განესაზღვრა შესაბამისი კვალიფიკაციები: 0231.1.18 არაბისტიკა (Arabic Studies); 0231.1.17 ირანისტიკა (Persian Studies); 0231.1.16 თურქოლოგია (Turkology).

ამასთანავე, საბაკალავრო საფეხურზე, დარგის ფართო ასპექტითა და საბაზო ჰუმანიტარული ცოდნის საფუძვლების სწავლებიდან გამომდინარე, არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა: „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი არაბისტიკაში“; ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამისა – „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ირანისტიკაში“; თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა – „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი თურქოლოგიაში“; ხოლო სამაგისტრო საფეხურზე დარგზე კონცენტრირებული ღრმა და სისტემური სწავლებიდან გამომდინარე, არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციად შეირჩა და განისაზღვრა: „არაბისტიკის მაგისტრი“; შესაბამისად, ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამისა – „ირანისტიკის მაგისტრი“; თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა კი „თურქოლოგიის მაგისტრი“;

კლასიკური ფილოლოგიის დარგში საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა-ამოქმედების ისტორია სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტზე განსხვავებულად წარიმართა. ჯერ შეიქმნა სამაგისტრო საფეხურის პროგრამა და 2016 წელს გაიარა პირველი აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №34; 28.06.2016), მისი წარმატებით ფუნქციონირების 6-წლიანმა პერიოდმა პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ხელახალი აკრედიტაციისას ეს დარგი – კლასიკური ფილოლოგია, წარედგინათ როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებით.

კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, დარგის ფართო ასპექტითა და საბაზო ჰუმანიტარული ცოდნის საფუძვლების სწავლებიდან გამომდინარე, ანიჭებს კვალიფიკაციას: „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კლასიკურ ფილოლოგიაში“; ხოლო სამაგისტრო საფეხურზე დარგზე კონცენტრირებული ღრმა და სისტემური სწავლებიდან გამომდინარე, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციად შეირჩა და განისაზღვრა: „კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი“.

შესაფასებლად წარმოდგენილი კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნებში აისახა ზემოაღნიშნული კვალიფიკაციების, სტანდარტისა და დარგის არსებული მახასიათებლის მოთხოვნები, ასევე ცვალებადი შრომითი ბაზრის მოთხოვნებით განპირობებული დარგის გამოყენებითი ასპექტების, ზოგადი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების გაძლიერების აუცილებლობა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა)**[6]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აწსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა ემსახურება სტუდენტისთვის არაბისტიკის დარგში ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას; პროგრამას აქვს ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ამ მიზნებიდან. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.18 არაბისტიკა), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი; აწსუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის აწსუ-ში რეგულარულად ფასდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა)**

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადია, რომ არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა ემსახურება მაგისტრანტისთვის არაბისტიკის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას და მის კრიტიკულ გააზრებას; პროგრამას აქვს კონკრეტული მიზნები და მასზე მორგებული სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ამ მიზნებიდან. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.18 არაბისტიკა), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და

---

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

დარგის განვითარების თავისებურებანი; აწსუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის აწსუ-ში რეგულარულად ფასდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა)**

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აწსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა ემსახურება სტუდენტისთვის ირანისტიკის დარგში ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას; პროგრამას აქვს ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად ბმაშია ამ მიზნებთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.17 ირანისტიკა), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელიც ითვალისწინებს სფეროს მიმართ მოთხოვნებსა და დარგის განვითარების თავისებურებებს; პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია აწსუ-ს მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა ემსახურება მაგისტრანტისთვის ირანისტიკის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას და მის კრიტიკულ გააზრებას;

პროგრამას აქვს ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ამ მიზნებიდან. პროგრამის მიზნები თანხვდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.17 ირანისტიკა), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი; აწსუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის აწსუ-ში რეგულარულად ხდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აწსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ემსახურება სტუდენტისთვის თურქოლოგიის დარგში ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას; პროგრამას აქვს ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ამ მიზნებიდან. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.16 თურქოლოგია), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი; აწსუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის აწსუ-ში რეგულარულად ფასდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ემსახურება მაგისტრანტისთვის თურქოლოგიის დარგში ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემას და მის კრიტიკულ გააზრებას; პროგრამას აქვს ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ამ მიზნებიდან. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სამაგისტრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.16 თურქოლოგია), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი; აწსუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის აწსუ-ში რეგულარულად ფასდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ აწსუ ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ემსახურება სტუდენტისთვის კლასიკური ფილოლოგიის დარგში ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გადაცემას; პროგრამას აქვს ცხადად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობს ამ მიზნებიდან. პროგრამის მიზნები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საბაკალავრო დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ დეტალური სწავლის სფეროს შინაარსს (0231- ენის დაუფლება; 0231.1.9 კლასიკური ფილოლოგია), უმაღლესი განათლების ენის დაუფლების

დარგობრივ მახასიათებელს, რომელშიც გათვალისწინებულია სფეროს მიმართ მოთხოვნები და დარგის განვითარების თავისებურებანი; აწსუ-ს  მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის აწსუ-ში რეგულარულად ფასდება პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასიკური ფილოლგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- შრომისა და დასაქმების ბაზრის კვლევა;
- ინტერვიუების შედეგები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)**

სასწავლო კურსების სპეციფიკის (კურსის შინაარსი და სწავლის შედეგები) გათვალისწინებით განსაზღვრულია მოცულობა კრედიტებში და შესაბამისი საათების რაოდენობა. სილაბუსებში დაკონკრეტებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროები, რომელთა შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სწავლების საფეხურსა და კურსის სპეციფიკას.

როგორც ინტერვიუებზე პროგრამათა განმახორციელებელმა პერსონალმა აღნიშნა, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადება და მოდერნიზება დაკავშირებული იყო თითოეული სასწავლო კურსის მიზანს, შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლება/სწავლის მეთოდებსა და შეფასების სისტემას შორის ურთიერთკავშირის გაუმჯობესებასთან. აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისა და პროგრამების სრულყოფის მიზნით განახლდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, რათა შესაბამისობაში მოსულიყო კურსის სწავლის შედეგებთან და დარგის აქტუალურ მიღწევებთან, აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს კომპეტენციების აღმწერთან და ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებაში.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კურსის დასახელება, კურსის სტატუსი, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების მითითებით,

კურსის განმახორციელებელი, კურსის მიზანი, სასწავლო კურსის ფორმატი, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები, სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო რესურსები, კურსის შინაარსი და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსით დეტალურად არის აღწერილი სტუდენტის შეფასების ფორმები, მეთოდები და რუბრიკები.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის განმავლობაში დარწმუნდა, რომ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული კურსის შესწავლისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა იძებნება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში ბეჭდური და/ან ელექტრონული სახით. ეს ფონდი მნიშვნელოვანწილად მოიცავს დამატებით ლიტერატურასაც და რეგულარულად ხდება მისი განახლება.

სტუდენტები სარგებლობენ უნივერსიტეტის ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგით და ელექტრონული ბიბლიოთეკით http://elibrary.atsu.edu.ge/lms/, სადაც იძებნება სასურველი სასწავლო რესურსი, მათ შორის პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ შექმნილი ელექტრონული სალექციო/სასწავლო კურსებიც.

სასწავლო ლიტერატურის მოძიების გაადვილებისა და შევსების მიზნით უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ– კატალოგის (OPAC) სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 2, 3, 4, 5, 6 (არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები)**

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში დაჯგუფებული აღმოსავლეთმცოდნეობის პროფილის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები (კერძოდ, არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები), რომლებსაც მისანიჭებელ კვალიფიკაციად არა წმინდა ფილოლოგიური, არამედ არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგიის კვალიფიკაცია აქვთ განსაზღვრული, კურიკულუმში ენის დაუფლებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების გარდა, სოციოკულტურული და საზოგადოებათმცოდნეობითი ასპექტების ამსახველ სასწავლო კურსებსაც მოიცავენ. როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები აგებულია ზემოაღწერილი საერთო საფაკულტეტო წესების დაცვით.
ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული სილაბუსების გაცნობის შემდეგ ასკვნის, რომ რიგი საბაკალავრო თუ სამაგისტრო კურსი (როგორიცაა, მაგ., შესავალი სუფიზმში, გენდერის საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთის კულტურა, აღმოსავლური ფოლკლორი, კლასიკური არაბული პროზა და ადაბი, არაბული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, XX საუკუნისა და თანამედროვე სპარსული რომანი, უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორია და სხვ.) სასწავლო ლიტერატურის შევსებას მოითხოვს უახლესი გამოცემებით, მათ შორის, ევროპული კვლევების მიღწევათა ასახვას (თუნდაც კურსის რიდერების სახით).
სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები იყოს ნაკლებ სტანდარტული და უფრო მეტად მორგებული კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და საჭიროებებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7. 8 (კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები)**

კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში დაჯგუფებული კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების სილაბუსები აგებულია ზემოაღწერილი საერთო საფაკულტეტო წესების დაცვით.
ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნული სილაბუსებისა და მისი სასწავლო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ აღნიშნავს, რომ აღნიშნული პროგრამების სილაბუსებში, განსაკუთრებით, საბაკალავროში, უხვადაა მითითებული უცხოური ლიტერატურა, რომელთა ნაწილი არ იძებნება ბიბლიოთეკაში, არც ელექტრონული წყაროებია მითითებული.
სასურველია, პროგრამის სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მუდლის პლატფორმა სწავლების ორივე საფეხურზე, შეიქმნას ელექტრონული სასწავლო კურსები, სადაც სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა იქნება ატვირთული და მარტივად ხელმისაწვდომი ყველა სტუდენტისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- „აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA“(აკადემიურისაბჭოსდადგენილებები №49(17/18),№39(20/21),15.07.2021,№8(22/23),16.09.2022)
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები.
- პროგრამების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ გაცემულა.

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ გაცემულა.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1, 2, 3, 4, 5, 6** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:**

**1.5** რიგი საბაკალავრო თუ სამაგისტრო კურსი (როგორიცაა, მაგ., შესავალი სუფიზმში, გენდერის საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთის კულტურა, აღმოსავლური ფოლკლორი, კლასიკური არაბული პროზა და ადაბი, არაბული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, XX საუკუნისა და თანამედროვე სპარსული რომანი, უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორია და სხვ.) სასწავლო ლიტერატურის შევსებას მოითხოვს უახლესი გამოცემებით, მათ შორის, ევროპული კვლევების მიღწევათა ასახვას (თუნდაც კურსის რიდერების სახით).

**1.5** სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები იყოს ნაკლებ სტანდარტული და უფრო მეტად მორგებული კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და საჭიროებებს.

**პროგრამა 7. 8** (**კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:**

**1.5** სასურველია, ყურადღება მიექცეს პროგრამის სილაბუსებში. განსაკუთრებით, საბაკალავროში, უხვად მითითებული უცხოური ლიტერატურის სტუდენტისვის მარტივად ხელმისაწვდომობას (ნაწილი არ იძებნება ბიბლიოტეკაში, არც ელექტრონული წყაროებია მითითებული). პროგრამის სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მუდლის პლატფორმა სწავლების ორივე საფეხურზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1<br>არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2<br>არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3<br>ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5<br>თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6<br>თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7<br>კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8<br>კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს სწავლების საფეხურს, პროგრამების სპეციფიკას და შესაბამისი ცოდნის, უნარისა და კომპეტენციის მქონე პირების მიღებას.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამებზე მობილობის პროცესი რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანებით No10/ნ- „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2022 წლის 23 ივლისი დადგენილებით №67 (21/22).

აწსუ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე, ასევე პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოცემულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. დაინტერესებული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე და სხვა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 3, 5, 7** (**არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამები**)

- აღნიშნული საბაკალავრო პროგრამების სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი, ან მისი ექვივალენტური განათლების მქონე და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელი პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს.
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

  ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

  ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხოქვეყანაში;

  გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- გარე და შიდა მობილობით.

პროგრამებზე დაშვების აღნიშნული წინაპირობები ლოგიკურია, საფეხურის შესაბამისი და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, 4, 6, 8 (არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები)**

თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიზე დაშვების წინაპირობებია:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში;
- ✓ საგამოცდო საკითხები და ჩატარების წესი გამოქვეყნდება აწსუ-ს ვებ, გვერდზე - atsu.edu.ge, გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
- ✓ უცხო ენის გამოცდისგან განთავისუფლდება ის აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, ან ის პირი, რომელსაც შესაბამის ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია გარე და შიდა მობილობის წესით.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რაკი თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე, მნიშვნელოვანია, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში განისაზღვროს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები.
- აკადემიური საბჭოს დადგენილება დადგენილება №67 (21/22) 23/07/2022- სტუდენტის სტატუსისმოპოვების,შეჩერების,შეწყვეტის,აღდგენის,მობილობის,კვალიფიკაციისმინიჭებისადამ იღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (https://www.atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2021-2022/67-21-22).
- აწსუ-სვებგვერდი:https://www.atsu.edu.ge
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ გაცემულა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**2.1** თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებიზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე, მნიშვნელოვანია, მისაღებ

გამოცდაზე სპეციალობაში გამოიკვეთოს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1<br>**არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2<br>**არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3<br>**ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>**ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5<br>**თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6<br>**თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7<br>**კლასიკური ფილოლოგიის** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| საბაკალავრო პროგრამა | | | | |
| პროგრამა 8<br>კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში ინტერვიუებზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერის ორივე საფეხურის – საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტი სავალდებულო და არჩევითი დისციპლინებით, მათში გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდითა და მათი კომბინაციით მიმართულია სწავლების საფეხურის შესაბამისი პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი, ტრანსფერული უნარების ეტაპობრივი გამომუშავებისაკენ, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარების ფორმირებისაკენ.

კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ აწსუ ყოველწლიურ სხვადასხვა ტიპის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში, სადაც საკუთარი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა თუ ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი უნარების დემონსტრირების საშუალება ეძლევათ, სტუდენტებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი მონაწილეობენ სხვა უნივერსიტეტებში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებშიც, ასევე საზაფხულო სკოლებში, მოკლე და გრძელვადიან ენობრივ სტაჟირებებში, სასწავლო ექსპედიციებში,

სამეცნიერო უნარების განვითარება წარმოადგენს კლასტერის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ერთ-ერთ მთავარ მიზანს, რის განხორციელებასაც პროგრამული სასწავლო კომპონენტების გარდა, ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის მომზადება, როცა ხდება მაგისტრანტთა მიერ მიღებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნის საკვლევ თემასთან დაკავშირება, საკუთარი შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისა თუ ანალიტიკური და სამეცნიერო-კვლევითი უნარების დემონსტრირება.

მაგისტრანტებთან, სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა, სამაგისტრო ნაშრომების გაცნობამ გვიჩვენა, რომ არც ისე მაღალია აწსუ-ს წვდომაში არსებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისა და ამ ბაზებიდან მოპოვებული ევროპულენოვანი უახლესი სამეცნიერო სტატიების გამოყენების შემთხვევები. ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აღნიშნულ ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც

მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სტუდენტური ნაშრომების ხარისხს, ისე მათ ენობრივ კომპეტენციებს. ასევე წაახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეციერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სტუდენტური კონფერენციების მასალები;
- დიალექტოლოგიური ექსპედიციების მასალები;
- მაგისტრანტთა ნაშრომები;
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ გაცემულა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**2.2** სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აწსუ-ს წვდომაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, ისე მაგისტრანტთა ენობრივ კომპეტენციებს. ასევე წაახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეციერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (**არაბისტიკის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 2 (არაბისტიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 3 (ირანისტიკის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 4 (ირანისტიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 5 (თურქოლოგიის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 6 (თურქოლოგიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 7 (კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 8 (კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1<br>**არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2<br>**არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3<br>**ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>**ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5<br>**თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6<br>**თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7<br>**კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8<br>**კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებულ ინტერვიუებზე მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ აღნიშნულ კლასტერში წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტთა საჭიროებებს, ასევე შეესაბამება საგანმანათლებლო საფეხურს, სწავლების შინაარსსა და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას. ისინი იძლევიან თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების

ჩამოყალიბების შესაძლებლობას. როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსები ითვალისწინებს სწავლების ისეთ ფორმებს, როგორიცაა ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, სამუშაო ჯგუფში მუშაობა.

სწავლის შედეგების მისაღწევად შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამების მიზნებს და ორიენტირებულია ამ პროგრამებით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად. სილაბუსების გაცნობამ გვიჩვენა, რომ მეთოდები განსხვავებულია ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით.

როგორც სტუდენტთა, ისე პროფესორთა ინტერვიუირებამ ცხადყო, რომ პანდემიის პერიოდში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლება/სწავლის ტრადიციულ ფორმებთან ერთად, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით წარმატებით გამოიყენებოდა ონლაინ პლატფორმები - Microsoft teams, Moodle. სტუდენტები ონლაინ ლექციებთან ერთად იღებდნენ შესაბამის სასწავლო რესურსებს. ელექტრონული სწავლების პროცესი უმაღლესი განათლების მიღების რეალურ და მოქნილ საშუალებად იქცა, რამაც გაზარდა სტუდენტთა პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დისტანციურ რეჟიმში ელექტრონული ფორმით სწავლების განხორციელების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ გაცემულა.

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ გაცემულა.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1 (არაბისტიკის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 2 (არაბისტიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 3 (ირანისტიკის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 4 (ირანისტიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 5 (თურქოლოგიის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 6 (თურქოლოგიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 7 (კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 8 (კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 **არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 **არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 **ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 **ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 **თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 **თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 **კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 **კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასიკური და აღმოსავლური ენების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, ასევე ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციებით.

ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის ვიზიტის განმავლობაში ჩატარებული ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ ცოდნის შეფასების ფორმები, კრიტერიუმები და მეთოდები არის გამჭვირვალე და მათი გაცნობა სტუდენტებისათვის არ წარმოადგენს

პრობლემას. თითოეული საგნის სილაბუსში გაწერილია ცოდნის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას კურსის შეფასების სისტემაზე. შეფასების კომპონენტები განსხვავებულია თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით და დიდწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. 100 ქულიანი შეფასებიდან ყველა სასწავლო კურსის დასკვნითი გამოცდა არის 40 ქულიანი. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 15 ქულით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებასაც კი ვერ მოიპოვებს. სასურველია, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე.

დაწესებულებაში მოქმედებს გამოცდაზე მიღებული შეფასების გასაჩივრების წესი. ინტერვიუზე გამოკითხულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განაცხადეს, რომ თავად არ ჰქონიათ მიღებულის შეფასების გასაჩივრების შემთხვევა ან საჭიროება, მაგრამ იხსენებდნენ თანაკურსელთა ამგვარ გამოცდილებას. მათივე თქმით, მიღებული შეფასებისა თუ ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ უკუკავშირს იღებენ დაინტერესებისა და ლექტორებისთვის მიმართვის შემთხვევაში ინდივიდუალურად.

ფაკულტეტზე მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა http://edean.atsu.edu.ge/dekanati/. გამოცდების ჩატარებას ტექნიკურ ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში არსებული საგამოცდო სექტორი. 2020 წლიდან, პანდემიურ პერიოდში, უსდ იყენებდა ონლაინ სწავლებისთვის განკუთვნილ ელექტრონულ ფლატფორმებს - Microsoft teams-სა და Moodle-ს, მაგრამ ამჟამად როგორც სასწავლო პროცესი, ისე გამოცდებიც სააუდიტორო სივრცეშია გადმოტანილი.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1, 3, 5 (არაბისტიკის, ირანისტიკის,თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამები)**

კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი

კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, კომბინირებული (წერა-ზეპირი) გამოცდა ამ სასწავლო საგნებში ბევრად უფრო მიზანშეწონილია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2, 4, 6, 8 (არაბისტიკის, ირანისტიკის,თურქოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამები)**

კლასიკური და აღმოსავლური ენების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, ასევე ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ სტუდენტების შეფასება სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში ხორციელდება ზემოაღწერილი სისტემით, ხოლო სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კვლევით კომპონენტს – სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS კრედიტის მოცულობით) თავისი შეფასების სისტემა აქვს, რომელიც გაწერილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მისი გატარება სავალდებულოა. ინტერვიუზე გამოკითხულმა სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებმა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამაგისტრო ნაშრომები პლაგიატის პრევენციისათვის Turnitin ელექტრონულ პროგრამაში ადმინისტრაციულად იტვირთება და მოწმდება, შემდეგ კი შედეგები ეცნობება ნაშრომის ხელმძღვანელს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს Turnitin ელექტრონულ პროგრამაში თავად სტუდენტი ტვირთავდეს და შემდეგ შედეგებს წარუდგენდეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეს აამაღლებს მის პერსონალურ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, დადებითად იმოქმედებს ნაშრომის ხარისხზე. სასურველია, რომ Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომები კი არ გატარდეს, არამედ დაინერგოს მისი გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კონკრეტული ფორმების (ესე, რეფერატი) მომზადებისა და წარმოდგენისას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- ინტერვიუების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ გაცემულა.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**2.4** კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, სასურველია, ამ კურსებში ჩატარდეს კომბინირებული (წერა-ზეპირი) გამოცდა.

**2.4** მოქმედი რეგულაციით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას მაინც ვერ იღებს. ხომ არ აჯობებდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, რათა შეფასება რეალურად იყოს განმავითარებელი.

**2.4** ინტერვიუებზე გაირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომები პლაგიატის პრევენციისათვის Turnitin ელექტრონულ პროგრამაში ადმინისტრაციულად იტვირთება და მოწმდება, შემდეგ კი შედეგები ეცნობება ნაშრომის ხელმძღვანელს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს Turnitin ელექტრონულ პროგრამაში თავად სტუდენტი ტვირთავდეს და შემდეგ შედეგებს წარუდგენდეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეს აამაღლებს მის პერსონალურ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, დადებითად იმოქმედებს ნაშრომის ხარისხზე. ასევე სასურველია, რომ Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომები კი არ გატარდეს, არამედ დაინერგოს მისი გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კონკრეტული ფორმების (ესე, რეფერატი) მომზადებისა და წარმოდგენისასაც.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**……………**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>2.4 სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1<br>არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2<br>არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3<br>ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5<br>თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6<br>თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7<br>კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8<br>კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1<br>არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2<br>არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3<br>ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4<br>ირანისტიკის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5<br>თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6<br>თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7<br>კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8<br>კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გაირკვა, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელებისათვის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელები სტუდენტებს სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის, პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის, სტუდენტებისთვის შეთავაზებული სერვისების

შესახებ და ა.შ. ინფორმაცია სასწავლო პროცესის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია და საჭირო კონსულტაციები როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისგან სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. სტუდენტებთან კონტაქტისთვის, ინფორმაციის მიწოდებისთვის უსდ იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხსა და საშუალებას: უნივერსიტეტის მიერ შექმნილ კორპორატიულ მეილებს, რომელიც გამოიყენება ასევე ელექტრონულ რესურსებზე წვდომისათვის, კონსულტაციების დასანიშნად ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან როგორც ონლაინ, ისე საუნივერსიტეტო სივრცეში, სტუდენტისთვის მოსახერხებელ დროს.

ზოგადი სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია უსდ-ს ოფიციალურ ვებვერდზე, ასევე, განთავსებულია დაწესებულების მიერ მართულ სოციალურ ქსელში (ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხშირად გამოყენებადი და მისაღებია სტუდენტებისთვის). ზემოხსენებულ პროცესებში აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს როგორც სტუდენტური სერვისების განვითარებასა და შეთავაზებას, ისე ვაკანსიებისა და შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას (უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუს მსვლელობისას კურსდამთავრებულთა თქმით, მსგავსი სახის ინფორმაცია, პერიოდულად, ზეპირი ფორმით მიეწოდებათ).

როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებზე გაირკვა, ჰუმანტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წარმატებით მუშაობს ტუტორების ინსტიტუტი. სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური კონკურსის გზით არჩევს ტუტორებს, ისინი ხშირად დამამთავრებელი კურსების სტუდენტები არიან. ტუტორები შეირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებიდან რეზიუმეების გადარჩევისა და გასაუბრების საფუძველზე (ტუტორი-სტუდენტებისთვის აღნიშნული აქტივობა წარმოადგენს სასტიპენდიო აქტივობის ქულების მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას). ტუტორები და კოორდინატორები (ძირითადად, ლექტორები) აქტიურად არიან ჩართულნი პირველ და მეორეკურსელთა ინფორმირების პროცესში. ამ მიზნით იმართება საინფორმაციო შეხვედრები, მინი-ტრენინგები.

უსდ-ს მიერ შეთავაზებული სასწავლო პროცესის დამხმარე სერვისების შესახებ ცნობების არსებობის მიზნით, ტრენინგებს მართავს ბიბლიოთეკაც, რისი მიზანიც სტუდენტებისთვის სამკითხველო დარბაზების სარგებლობის შესაძლებლობისა და წესების, წიგნის შეკვეთა–გატანა–დაბრუნების პროცედურების გაცნობა, სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტთა უმრავლესობა არც ისე კარგად იცნობს სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობებს ან/და ნაკლებად, იშვიათად იყენებენ მათ. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, თუ დაწესებულება ამ მხრივ უფრო მეტად გაააქტიურებს მუშაობას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღნიშნული კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ ენობრივი სტაჟირების პროგრამებში. ამგვარი აქტივობით გამორჩეულ სტუდენტთა უმრავლესობა ჩართული იყო შესაბამისი საელჩოების თანამშრომლობით განხორციელებულ პროექტებში, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, უსდ-ს მხრიდან მეტი

აქტივობის განხორციელებაა საჭირო ადგილობრივ და განსაკუთრებით, საერთაშორისო სასწავლო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელად.

სტუდენტები მონაწილეობას იღებენ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტური გამოკითხვების პროცესში. გამოკითხვის შედეგად მიღებული რჩევა თუ თხოვნა მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის მხრიდან (ამ ეტაპზე, სტუდენტთა საერთო სურვილი ენების სწავლების პრაქტიკული ნაწილის საათობრივი ზრდაა). სტუდენტური გამოკითხვა ეხება როგორც სასწავლო პროცესით ზოგადად კმაყოფილების საკითხებს, ისე ლექტორებთან თანამშრომლობასა და სწავლების პროცესის კონკრეტულ დეტალებს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია გამოკითხვის შედეგების ასახვისა და სტუდენტური შეფასებების თაობაზე ლექტორთა ინფორმირების გზების შესახებ. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, ხაზი გაესვას კითხვარების შინაარსსა და მათი ანალიზის შედეგებს. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა თქმით, კითხვარი ამომწურავია, ვფიქრობთ, რომ ისინი მაინც ზოგადი სახის კითხვებს მოიცავს და ნაკლებად იძლევა შესაძლებლობას, მათი ანალიზის შედეგად მიღებულ იქნას იმგვარი კონკრეტული დასკვნები, როგორიც მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე წარმოადგინა დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშზე თანდართულ მასალაში.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო თვითშეფასების ანგარიში;
- ინფორმაცია სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის შესახებ;
- ინფორმაცია ტუტორების ინსტიტუტის შესახებ;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება „კურატორის უფლება-მოვალეობების დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუების შედეგები.

*კლასტერის საერთო რეკომენდაციები:* არ გაცემულა.

*კლასტერის საერთო რჩევები:*

**3.1** სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების

მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;

**3.1** სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნას გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის, ერასმუს + გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;

**3.1** ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტუდენტური გამოკითხვის ფორმების გამრავალფეროვნებასა და მათში მეტი კონკრეტიკის შეტანას.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა** 1 (**არაბისტიკის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა** 2 (**არაბისტიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა** 3 (**ირანისტიკის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა** 4 (**ირანისტიკის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა** 5 (**თურქოლოგიის საბაკალავრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

**პროგრამა 6 (თურქოლოგიის სამაგისტრო** საგანმანათლებლო **პროგრამა**)

**რეკომენდაცი(ებ)ი:** არ გაცემულა.

**რჩევ(ებ)ი:** არ გაცემულა.

